

ანალიტიკური დეპარტამენტი

2011 წლის ანგარიში

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

სარჩევი

I. დეპარტამენტის შესახებ 3

II. 2011 წლის მნიშვნელოვანი მიმართულებები 5

2.1. განრიდება 5

2.2 არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია 5

2.3. კონფერენცია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის თემაზე 6

2.4. სისხლის სამართლის საქმეთა მართვის ინტეგრირებული სისტემა და სტატისტიკური მოდული 6

2.5. სასჯელაღსრულების დაწესებულებათა განტვირთვის კონცეფცია 6

2.6. ცვლილებები კანონმდებლობაში კორუფციის კრიმინალიზაციის თემაზე 7

2.7. ცვლილებები კანონმდებლობაში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების თემაზე 7

2.8. საერთაშორისო კონფერენცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე - აღმოსავლეთ პარტნიორობის ანტიკორუფციული პანელის სხდომა 7

2.9. სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა 7

2.10. კანონპროექტი არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ 8

2.11. დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა 8

2.12. ანტიკორუფციული საბჭოს ადმინისტრირება 9

2.13. ღია მმართველობის პარტნიორობა 9

2.14. ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება 9

2.16. საზოგადოებასთან ურთიერთობა, პრეზენტაციები საერთაშორისო დელეგაციებისთვის 10

2.17. სამინისტროს ბროშურები და საინფორმაციო მასალა 10

2.18. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნებისათვის 11

2.19. არასრულწლოვანთა დანაშაულის კვლევა 11

2.20. პერსონალურ მონაცემთა დაცვა 11

2.21. პროექტი „არჩევანი შენზეა“ 11

2.22. ელექტრონული წიგნის პროგრამა 12

2.23. ახალი საპროცესო ფორმები 12

III. სამართლებრივი კვლევა და ანალიზი 13

IV. ანგარიშები და კითხვარები 14

4.1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) 14

4.2. სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO) 14

4.3. გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ (UNCAC) 14

4.4. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და კითხვარები 14

4.5. შიდა ანგარიშები 14

V. ღონისძიებები და შეხვედრები 16

VI. სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელობა 17

VII. საერთაშორისო წარმომადგენლობა და ვიზიტები 18

VIII. სხვა აქტივობები 20

IX. სამომავლო გეგმები 21

I. დეპარტამენტის შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის ხელშეწყობა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და დანაშაულის პრევენცია;
- სტრატეგიული მნიშვნელობის საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება და იმპლემენტაცია;
- ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან (OECD, GRECO) ურთიერთობა და ანგარიშგება;
- სოციოლოგიური კვლევების ჩატარების ხელშეწყობა და შედეგების ანალიზი;
- კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და კვლევითი პროექტების მართვა;
- სამართლებრივი კვლევებისა და სიახლეების მომზადება.

2011 წელს ანალიტიკურ დეპარტამენტში განხორციელდა **საკადრო ცვლილებები:** დეპარტამენტში აღარ მუშაობს მარიამ ვარდოსანიძე, მან საქმიანობა კერძო სამართლის მიმართულებით იურიდიული კომპანიაში გააგრძელა. **ნინო სარიშვილი,** სამართლებრივი კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მრჩეველი დაინიშნა ამავე სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. დეპარტამენტის სტაჟიორი, **ნატალია ბარათაშვილი** დაინიშნა სამართლებრივი კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მრჩევლად. გუნდს შეემატა **ზურაბ ბაკურაძე,** სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მრჩეველი. მაგისტრატურის დასრულების შემდეგ დეპარტამენტში სასწავლო შვებულებიდან დაბრუნდა **ზურაბ სანიკიძე,** ამავე სამმართველოს მრჩეველი. დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე 2011 წლის სექტემბრიდან აღარ მუშაობს **რუსუდან მიხელიძე,** იგი დეპარტამენტის კონსულტანტია.

2011 წლის დასაწყისში დეპარტამენტის თანამშრომლებმა წარმატებით გაიარეს მრავალსაფეხურიანი ატესტაცია. ანალიტიკური დეპარტამენტი იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში ამ მხრივ საუკეთესო შედეგებით გამოირჩევა.

2011 წელი მნიშვნელოვანი იყო კვალიფიკაციის ამაღლებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის კუთხითაც. დეპარტამენტის თანამშრომლებმა სხვადასხვა მიმართულებით აიმაღლეს კვალიფიკაცია ცნობილ უნივერსიტეტებში:

- ჰარვარდის კენედის მმართველობის სკოლა სასწავლო პროგრამა მენეჯერებისთვის, აშშ;
- მეისონის უნივერსიტეტი, აშშ;
- გაეროს საერთაშორისო სამართლისა და მართლმსაჯულების უნივერსიტეტი (UNICRI);
- დიდი ბრიტანეთი, ოქსფორდი, Regent school;

ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლები

ოთარ კახიძე, დეპარტამენტის უფროსი, იურისტი, სამართლის მაგისტრი, ჰარვარდის კენედის მმართველობის სკოლის პროგრამის კურსდამთავრებული (Senior Managers in Government Program).

რუსუდან მიხელიძე, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 2011 წლის სექტემბრიდან დეპარტამენტის კონსულტანტი, იურისტი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ჰელსინკის უნივერსიტეტი), ჰარვარდის კენედის მმართველობის სკოლის პროგრამის კურსდამთავრებული (Senior Executive Fellows Program).

ნინო სარიშვილი, კვლევისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი, იურისტი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, კავკასიის სამართლის სკოლისა და ილიას უნივერსიტეტის ლექტორი.

გურანდა ხოხობაშვილი, დეპარტამენტის მრჩეველი, ფრანგული ენის მთარგმნელ-თარჯიმანი, პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი (ნანტერის უნივერსიტეტი).

ზურაბ სანიკიძე, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მრჩეველი, იურისტი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (გაეროს საერთაშორისო სამართლისა და მართლმსაჯულების უნივერსიტეტი (UNICRI)).

თინათინ სურგულაძე, კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მრჩეველი, ზოგადი, სამედიცინო და გამოყენებითი ფსიქოლოგიის სპეციალისტი, სოციოლოგიური კვლევის მაგისტრი (ედინბურგის უნივერსიტეტი).

ნატალია ბარათაშვილი, კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მრჩეველი, იურისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი, სპეციალობა - საერთაშორისო სამართალი.

ზურაბ ბაკურაძე, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მრჩეველი, სისხლის სამართლის მაგისტრი, ევროპის სამართლის მაგისტრი LL.M. Eur. (ჰანოვერის ლაიბნიცის უნივერსიტეტი - გერმანია, რუანის უნივერსიტეტი - საფრანგეთი)

II. 2011 წლის მნიშვნელოვანი მიმართულებები

2.1. განრიდება

ანალიტიკური დეპარტამენტის ინიციატივით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2011 წლის 21 ივნისს შევიდა ცვლილებები და პრაქტიკაში შემოღებულ იქნა განრიდება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმა. ცვლილებების თანახმად, პროკურორს შესაძლებლობა ეძლევა განარიდოს პირი სისხლის სამართლის სისტემას, ნასამართლობას და ამავდროულად, ხელი შეუწყოს სასჯელის მიზნების მიღწევას. განრიდება ნებაყოფლობითია და არ იწვევს ნასამართლობას.

ამ ინსტიტუტის შემოღება მნიშვნელოვანი ნაბიჯია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციისაკენ, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ნასამართლევ, პირობით მსჯავრდებულ პირთა და პატიმართა რაოდენობის შემცირება, ასევე პროკურატურისა და სასამართლოს რესურსების დაზოგვა.

განრიდების იმპლემენტაციის მიზნით დეპარტამენტის უფროსმა ჩაატარა ტრეინინგები პროკურორებისთვის. ანალიტიკური დეპარტამენტის მოწვევითა და ევროკავშირის დახმარებით, საქართველოში იმყოფებოდნენ ჰოლანდიელი და ავსტრიელი ექსპერტები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს, როგორც განრიდების კონცეფციის შემუშავებაში, ისე მისი იმპლემენტაციის პროცესში.

2.2 არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია ანალიტიკური დეპარტამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტია. სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობდა დეპარტამენტის თანამშრომელთა უმრავლესობა. მათ სიღრმისეულად შეისწავლეს ამ თემაზე არსებული მასალა, საერთაშორისო დოკუმენტები, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება, აგერთვე თითოეული პასუხისმგებელი უწყებისა და არასამთავრობო სექტორის როლი საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაში და მრავალმხრივი კონსულტაციების შედეგად შეიმუშავეს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია. ანალიტიკური დეპარტამენტის მოწვევით სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საერთაშორისო ექსპერტმა,

ვაარდმა, რომელსაც ჰოლანდიის იუსტიციის სამინისტროში ამ თემაზე მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება გააჩნია.

სტრატეგია დანაშაულის ადრეულ პრევენციას, დანაშაულის გამომწვევი რისკ ფაქტორების შემცირებასა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიერ განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. სტრატეგია მიღებულ იქნა სისხლის სამართლის რეფორმების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე 2011 წლის დეკემბერში. დაიწყო მუშაობა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმაზე.

2.3.კონფერენცია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის თემაზე

ანალიტიკური დეპარტამენტის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის თემაზე. ღონისძიებაზე მოწვეული იყო ყველა დაინტერესებული უწყება, საერთაშორისო ექსპერტები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. კონფერენციის შეჯამება და რეკომენდაციები აისახა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიაში.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ სტატიათა კონკურსის - „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეფექტური მექანიზმები“ - გამარჯვებული სტუდენტები. მათ მიეცათ შესაძლებლობა, კითხვები დაესვათ და გასაუბრებოდნენ უწყებათა წარმომადგენლებს. საუკეთესო სტატიის ავტორებს გადაეცათ ჯილდოები.

2.4.სისხლის სამართლის საქმეთა მართვის ინტეგრირებული სისტემა და სტატისტიკური მოდული

2011 წელს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა მთელი საქართველოს მასშტაბით დაინერგა. შემუშავდა სისხლის სამართლის სასამართლოსთან (როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და საკასაციო) ინტეგრაციის მოდულები. ამ ეტაპზე ყველა სასამართლო ჩართულია პროგრამაში. ანალიტიკური დეპარტამენტის აქტიური მონაწილეობით შემუშავდა სტატისტიკური მოდული, რომელიც ტესტირების წარმატებით გავლის შემდგომ, 2012 წლიდან შეცვლის ამ დრომდე არსებულ სტატისტიკური აღრიცხვის ფორმებს. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გამარტივდება სტატისტიკის წარმოება, რაც სისხლის სამართლის საქმისწაროების განუყოფელი ნაწილი გახდება. სამართალდამცავი სისტემის თანამშრომლებს აღარ მოუწევთ რთული სტატისტიკური ფორმების შევსება, აღნიშნულ ფუნქციას შეასრულებს ელექტრონული მოდული, შედეგად, სისხლის სამართლის სტატისტიკა გახდება მაქსიმალურად ზუსტი და მრავალმხრივი.

2.5.სასჯელაღსრულების დაწესებულებათა განტვირთვის კონცეფცია

მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარებას საქართველოში დანაშაულის დონის მნიშვნელოვან კლებასთან ერთად მოჰყვა პატიმართა რაოდენობის ზრდა. ციხის პოპულაციის მიხედვით საქართველო მსოფლიოში ლიდერ ქვეყნებს შორის იმყოფება. სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში, ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშავა სასჯელაღსრულების დაწესებულებათა განტვირთვის კონცეფცია. ციხეების განტვირთვისათვის მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, პატიმართა ახალი ნაკადის, ხოლო მეორე მხრივ, თავისუფლება აღკვეთილ პირთა რაოდენობის შემცირება. კონცეფციაში ორივე მიმართულებით გადმოცემულია შესაბამისი ხედვა. აგრეთვე აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია პატიმართა აღრიცხვის ელექტრონული ბაზის შექმნა და ციხეებში არსებული მდგომარეობის კვლევა, სიტუაციის სრულყოფილი ანალიზის, რეციდივის შესწავლისა და პრევენციული ზომების შემუშავების მიზნით.

2.6. ცვლილებები კანონმდებლობაში კორუფციის კრიმინალიზაციის თემაზე

კორუფციის კრიმინალიზაციის კუთხით კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, GRECO-სა და OECD-ს რეკომენდაციების შესაბამისად, ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მოამზადა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროექტი. ცვლილებების მიზანია მექრთამეობის, კომერციული მოსყიდვისა და ზეგავლენით ვაჭრობის დანაშაულთა დეფინიცების სრულყოფა, აგრეთვე იურისდიქციის საკითხების დახვეწა. ამასთან, ცვლილებების შედეგად გაუმჯობესდა გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მექანიზმი. ცვლილებები ძალაში შევიდა 2011 წლის ნოემბერში.

2.7.ცვლილებები კანონმდებლობაში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების თემაზე

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და ამ მიმართულებით საერთაშორისო (GRECO, OECD, COE Committee of Ministers) და ადგილობრივი (GYLA, TI Georgia, ISFED) არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციების შესაბამისად, მომზადდა კანონპროექტი საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

ცვლილებების მიზანია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სისტემის დახვეწა, პოლიტიკური კორუფციის პრევენცია, აგრეთვე გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი ცალკე წარედგინა არასამთავრობო ორგანიზაციებს, აგრეთვე ანტიკორუფციულ საბჭოს. კანონპროექტი აგრეთვე გადაიგზავნა ვენეციის კომისიაში, რომელმაც ცვლილებები დადებითად შეაფასა. კანონი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2011 წლის 29 დეკემბერს.

2.8.საერთაშორისო კონფერენცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე - აღმოსავლეთ პარტნიორობის ანტიკორუფციული პანელის სხდომა

2011 წლის მაისში ანალიტიკური დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე. საქართველოს ეწვივნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე და ევროკავშირის ქვეყნების 40-მდე წარმომადგენელი, აგრეთვე ევროპის საბჭოს ექსპერტები. ანტიკორუფციული კონფერენციის მიზანი იყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა. კონფერენციაზე ანალიტიკურმა დეპარტამენტმა წარმოადგინა საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გატარებული რეფორმები.

2.9.სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა

ანალიტიკური დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვას. ამ მიმართულებით მუშაობს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შექმნილი მცირე სამუშაო ჯგუფი. სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვაში მონაწილეობას იღებს ბრიტანელი ექსპერტი, პროფესორი რიჩარდ ვოგლერი.

პირველ ეტაპზე დაგეგმილია კოდექსის ზოგადი ნაწილის გადასინჯვა. განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდება ბრალის საკითხზე, პირობით მსჯავრსა და სასჯელებზე. ზოგად ნაწილზე მუშაობის დასრულება 2012 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. რაც შეეხება კერძო ნაწილს, მასზე მუშაობა ზოგადი ნაწილის გადასინჯვის შემდეგ დაიწყება. კერძო ნაწილის გადასინჯვისას პრიორიტეტი იქნება თანამედროვე დანაშაულების გათვალისწინება, მოძველებული დებულებების ამოღება და სანქციების ჰარმონიზაცია.

2011 წელს სამუშაო ჯგუფი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-სა და ჰოლანდიაში. დეკემბერში საქართველოში ვიზიტისას რიჩარდ ვოგლერმა დეტალურად გაიარა ძირეული საკითხები. იგი რამდენიმე საკვანძო საკითხზე (გაუფრთხილებლობითი ბრალის საკითხი, პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, უმოქმედობით ჩადენილი დანაშაული, სასჯელთა პროპორციულობა) წარმოადგენს წერილობით დასკვნას.

2.10. კანონპროექტი არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ

სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის მარეგულირებელი ნორმების დახვეწისა და საერთაშორისო სტადარტებთან მიახლოების მიზნით, ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა, საერთაშორისო ნორმები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები და მოამზადა არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ ცვლილებების პაკეტი. საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა სპეციალური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიმდინარეობდა, რომელშიც მონაწილეობდნენ დაინტერესებული უწყებებისა და საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგნელები. კანონპროექტის პარლამენტში წარდგენამდე იგეგმება მისი საბოლოო ვარიანტის განხილვა სამუშაო ჯგუფში.

2.11. დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა

დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა კვლევა (ვიქტიმიზაციის კვლევა) და დანაშაულის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში სრულყოფილი კრიმინოლოგიური სურათის შექმნის მიზნით. 2011 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის დაფინანსებით, ჩატარდა დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის მეორე ტალღა. კვლევა ჩაატარა კომპანია „გორბი"-მ. საბოლოო ანგარიში მოამზადეს იან ვან დაიკმა, ვიქტიმოლოგიისა და ადამიანის უსაფრთხოების პროფესორმა და კრიმინოლოგიის პროფესორმა გიორგი ღლონტმა.

2010 წლის მსგავსად, კვლევამ კვლავ პოზიტიური შედეგები აჩვენა: დანაშაულის დაბალი დონე, მოსახლეობის უსაფრთხოების მაღალი განცდა და ზოგადად მკვეთრად გაუმჯობესებული კრიმინოგენური მდგომარეობა. ამავე დროს, კვლევის შედეგად გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს, იგულისხმება დაზარალებულთა და მოწმეთა კმაყოფილება, პოლიციაში დანაშაულის შეტყობინება და სხვ.

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მოამზადა 2011 წლის კვლევის შედეგების თემატური ანალიზი სხვადასხვა პრიორიტეტულ საკითხებზე.

2.12. ანტიკორუფციული საბჭოს ადმინისტრირება

2011 წელს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელშეწყობით ჩვეულ რეჟიმში გაიმართა ანტიკორუფციული საბჭოს სხდომები და მომზადდა ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში. სამოქმედო გეგმის შესრულების ეფექტური მონიტორინგის მიზნით გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობით შემუშავდა მონიტორინგის ინსტრუმენტი. დეპარტამენტი უზრუნველყოფდა საქართველოს ანტიკორუფციული რეფორმის შესახებ დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირთათვის ინფორმაციის მიწოდებას, კორუფციის თემაზე სხვადასხვა რეიტინგებისა და კვლევების ანალიზს და სხვა.

2.13. ღია მმართველობის პარტნიორობა

„ღია მმართველობის პარტნიორობის" ("Open Government Partnership") პროექტი ინიცირებულ იქნა 2011 წელს აშშ-ს პრეზიდენტის, ბარაკ ობამას და ბრაზილიის პრეზიდენტის, დილმა რუსეფის მიერ. იგი მიზნად ისახავს მსოფლიოს მასშტაბით მთავრობათა გამჭვირვალობისა და ეფექტურობის უზრუველყოფას, კორუფციის დაძლევას, ასევე სხვა გამოწვევებთან ბრძოლის ხელშეწყობას.

„ღია მმართველობის პარტნიორობის" პროექტს საქართველო 2011 წლის 20 სექტემბერს შეუერთდა. პროექტის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციასა და ანალიტიკურ დეპარტამენტთან ერთად საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობს. შემუშავების პროცესში ასევე აქტიურად არის ჩართული არასამთავრობო სექტორი.

2011 წელს შეიქმნა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. სამოქმედო გეგმაში ასახული ვალდებულებები ძირითადად ხუთი სახისაა: საჯარო სამსახურის გამჭვირვალობა, ანგარიშგება და ეფექტურობა; სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობა; საჯარო ფინანსების სისტემის რეფორმირება; კერძო სტრუქტურის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და კორუფციის პრევენციის ხელშეწყობა; პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსებისა და მონიტორინგის დახვეწილი სისტემა, ასევე მართლმსაჯულების სისტემის დახვეწა.

2.14. ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშრებულ საკითხებზე ანალიტიკური დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს სამართლებრივი უზრუნველყოფის, რეგისტრაციისა და ნოტარიატის დეპარტამენტთან და ადმინისტრაციასთან.

2011 წელს შემუშავდა ინფორმაციის ნუსხა, რომელიც საჯარო დაწესებულებებმა ვებ-გვერდზე პროაქტიულად უნდა გამოაქვეყნონ. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ინფორმაციას განეკუთვნება საჯარო დაწესებულებათა პროცედურული წესები, სტრუქტურა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, ასევე გადაწყვეტილებათა მიღების წესი,

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები, საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, 10 დეკემბრის ანგარიშების ანალიზის შედეგები, საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, საჯარო დაწესებულების ბიუჯეტი და სხვ.

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა დამტკიცდა ანტიკორუფციული საბჭოს მიერ.

2.15. უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა

ანალიტიკური დეპარტამენტი სხვადასხვა ფორმით აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. 2011 წელს დეპარტამენტმა ამ მიმართულებით აორგანიზა შემდეგი ღონისძიებები:

- სტატიების კონკურსი სტუდენტებისათვის;
- მრგვალი მაგიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხებზე;
- საერთაშორისო ექსპერტების (ივაპ დე ვაარდი, რიჩარდ ვოგლერი, იან ვან დაიკი) ლექციები უნივერსიტეტში;
- დეპარტამენტის თანამშრომლების ლექციები ანტიკორუფციულ, სისხლის სამართლის პოლიტიკის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, კიბერდანაშაულის, ახალი სისხლის სამართლის კოდექსის თემებზე და სხვა.

2.16. საზოგადოებასთან ურთიერთობა, პრეზენტაციები საერთაშორისო დელეგაციებისთვის

ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ ტელე-რადიო გადაცემაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის, სისხლის სამართლის პოლიტიკისა და ანტიკორუფციულ თემებზე. დეპარტამენტის თანამშრომლები წლის განმავლობაში მართავდნენ პრეზენტაციებს უცხო ქვეყნის სამთავრობო, თუ არასამთავრობო დელეგაციებისთვის, უცხოელი სტუდენტებისა და კვლევით ინსტიტუტების წარმომადგენლებისათვის.

2.17. სამინისტროს ბროშურები და საინფორმაციო მასალა

2011 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ დაბეჭდილი უმეტესი საინფორმაციო მასალის შინაარსობრივი ნაწილის მომზადებაზე პასუხისმგებელი იყო ანალიტიკური დეპარტამენტი. ანალიტიკური დეპარტამენტისა და მარკეტინგის სამმართველოს ერთობლივი მუშაობის შედეგად მომზადდა იუსტიციის სამინისტროს რეფორმების ბუკლეტები, ბროშურები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, სისხლის სამართლის რეფორმის, დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევისა და სხვა თემების შესახებ. (აგრეთვე მომზადდა იუსტიციის სამინისტროს სხვადასხვა თემატური პრეზენტაციები).

2.18. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნებისათვის

2011 წელს განრიდებისა და მედიაციის პროგრამის დახვეწასა და მენეჯმენტში ადმინისტრაციასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ანალიტიკური დეპარტამენტი. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციასთან ერთად გამართეს შეხვედრები და განხილვები პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის პროკურორების, მედიატორებისა და სოციალურ მუშაკთა ყოველკვარტალური შეხვედრები, ტრეინინგები პროგრამის ქვეყნის მასშტაბით გავრცელების მიზნით და სხვა.

2.19. არასრულწლოვანთა დანაშაულის კვლევა

ანალიტიკური დეპარტამენტის ინიციატივით, გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობითა და დაფინანსებით 2011 წელს დაიწყო არასრულწლოვანთა დანაშაულის კვლევა საქართველოში. ამ ფართომასშტაბიანი კვლევის მიზანია საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების გამოვლენა, რათა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამიზნული ნაბიჯები გადაიდგას დანაშაულის პრევენციის მიმართულებით. 2011 წელს ჩატარდა კვლევის რაოდენობრივი ნაწილი. 2012 წლის იანვარში კი დაგეგმილია თვისობრივი ნაწილის ჩატარება. თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის ანგარიშები გამოქვეყნდება 2012 წლის თებერვალში. ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენელი აქტიურად მონაწილეობდა კვლევის განხორციელების ყველა ეტაპზე.

2.20. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

2011 წელს ანალიტიკური დეპარტამენტი კვლავ აგრძელებდა მუშაობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე. დეპარტამენტისა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იურიდიული სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით მიერ მომზადდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონპროექტის განახლებული ვარიანტი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი დეკემბერში მიიღო პარლამენტმა და ძალაში 2012 წლის მაისიდან შევა.

2.21. პროექტი „არჩევანი შენზეა“

ანალიტიკური დეპარტამენტის ინიციატივით 2011 წელს განხორციელდა პროექტი „არჩევანი შენზეა“. პროექტის ძირითადი მიზანი იყო სკოლებში უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა, მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია. პროექტს ახორციელებდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა-ახალი ინიციატივა USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით.“

პროექტის ფარგლებში ჩატარდა წარმატებული, ენთუზიასტი, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი ადამიანების - „მისაბაძი ახალგაზრდების“ შერჩევა. სათანადო ტრენინგების გავლის შემდეგ ისინი ეწვივნენ თავიანთ ყოფილ სკოლებს და შეხვდნენ მოსწავლეებს, რათა მათ მაგალითზე სკოლის მოსწავლეებს ნათლად დაენახათ, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესი წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარია.

პროექტის ფარგლებში აგრეთვე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საინფორმაციო შეხვედრები თბილისსა და რეგიონებში
- ეროვნული კონკურსი „გააკეთე სწორი არჩევანი!“
- სლოგანების კონკურსი „ჯანსაღი ცხოვრება– ჩვენი არჩევანია!“
- ფოტოკონკურსი „მე მომწონს ჯანსაღი ცხოვრების წესი!“

2.22. ელექტრონული წიგნის პროგრამა

ელექტრონული წიგნის პროგრამა საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობის ერთ-ერთი საინტერესო სახეა. პროგრამაზე მუშაობაც 2011 წელს დაიწყო და 2012 წელს გაგრძელდება. პროგრამის ფარგლებში, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს დაევალებათ მათთვის სპეციალურად შერჩეული წიგნის ელექტრონული ვერსიის შექმნა. წიგნის შერჩევა მოხდება არასრულწლოვნის განვითარების დონისა და მისი რეაბილიტაციის საჭიროებიდან გამომდინარე.

პროგრამა სასარგებლოა, როგორც მასში მონაწილე ახალგაზრდებისათვის, ისე ზოგადად საზოგადოებისათვის, ვინაიდან, პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდა ერთდროულად, კითხულობს წიგნს, სწავლობს კომპიუტერთან მუშაობას და საზოგადოებისათვის ქმნის ელექტრონულ ლიტერატურას. ეს პროგრამა იუსტიციის სამინისტროსა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ერთობლივად, საგრანტო პროგრამის ფარგლებში განხორციელდება.

2.23. ახალი საპროცესო ფორმები

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშავა პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილების ახალი ფორმა, რომელიც არ შეიცავს ზედმეტ ფორმალობებს, გამოირჩევა სიმარტივითა და აღქმადობით, აფუძნება საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს. ახალი ბრალი აისახა საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამისი რეპორტ-ფორმაში და ინერგება პრაქტიკაში. საპროცესო ფორმების გამარტივებაზე მუშაობა 2012 წელსაც გაგრძელდება.

III. სამართლებრივი კვლევა და ანალიზი

2011 წელს მომზადდა შემდეგი დოკუმენტები:

- Zero tolerance policy in Georgia;
- ASBO Review;
- Article on Transparency International's CPI;
- Article on Fight Against Corruption for OSCE;
- EBRD "Life in Transition Survey" მიმოხილვა ქართულ ენაზე;
- კორუფციის გლობალური ბარომეტრის (2010) მოკლე მიმოხილვა;
- ნაფიც მსაჯულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და სამართალწარმოების საჯაროობა: აშშ-ის კანონმდებლობა და პრაქტიკა;
- კვლევა სხვადასხვა სახელმწიფოების კანონმდებლობაში ეკონომიკური და საფინანსო დანაშაულების შესახებ;
- სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის კვლევა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კუთხით და შედარებითი ანალიზი;
- ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ კვლევა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კვლევა;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვანთათვის არსებული პროგრამების შესახებ კვლევა;
- საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საქართველოში;
- ნულოვანი ტოლერანტობა დიდ ბრიტანეთში;
- მარიხუანის მოხმარების რეგულაცია ევროპაში;
- ანტისოციალური ქცევის აღმკვეთი ორდერების გამოყენება დიდ ბრიტანეთში;
- ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა მკურნალობის პროგრამები/სერვისები;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მონიტორინგის სისტემა;
- დაცვის ქვეშ მყოფი მოწმეების დაკითხვა სასამართლოში.

IV. ანგარიშები და კითხვარები

დეპარტამენტი უშუალოდ ამზადებს და აგრეთვე მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის წარსადგენი პერიოდული ანგარიშების მომზადებაში.

4.1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)

2011 წელს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მოამზადა OECD-ის ანგარიში, ამ ორგანიზაციის რეკომენდაციების შესრულებაში არსებული პროგრესის შესახებ.

4.2. სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO)

მომზადდა კომენტარები GRECO-ს მეორე და მესამე რაუნდის ანგარიშებზე.

4.3. გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ (UNCAC)

გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის (UNCAC) ფარგლებში 2011 წელს დაიწყო თვითშეფასების რაუნდის პირველი ეტაპი. ანალიტიკურმა დეპარტამენტმა გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისს წარუდგინა კორუფციის თემაზე არსებული კანონმდებლობის ანგარიში.

4.4. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და კითხვარები

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ანტიკორუფციული პანელი - ანგარიში;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის კიბერდანაშაულის მიმართულება სახვადასხვა ტიპის კითხვარებზე პასუხი და ანგარიშები, მათ შორის: კიბერდანაშუალის შესახებ კანონმდებლობის რეფორმის შესახებ ანგარიში.
- არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის შესახებ კითხვარი - საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი.
- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP Action Plan) შესრულების ანგარიში;
- ნატო-საქართველოს ყოველწლიური ეროვნული გეგმის ანგარიში (Annual National Plan Report);
- GRETA-ს კითხვარის პასუხები (მოწმეთა დაცვის ნაწილში);
- United Nations Survey on Crime Trends and Operation of Criminal Justice Systems -დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის ნაწილი.

4.5. შიდა ანგარიშები

- ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის 2010 წლის ანგარიში;
- ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების 2011 წლის 6 თვის ანგარიში;

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ პერიოდული ანგარიშები;
- სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმის შესახებ ორი ანგარიში;
- ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე ანგარიში;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებით 2011 წელს დასახული სტრატეგიის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ანგარიში.

V. ღონისძიებები და შეხვედრები

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა 2011 წელს ორგანიზება გაუკეთა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომებსა და საბჭოს ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს. **არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის** სტრატეგიის შემუშავების პროცესში დეპარტამენტის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს სხვადასხვა უწყებებთან და არასამთავრობო სექტორთან. დეპარტამენტმა ორგანიზება გაუკეთა და მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებსა და შეხვედრებში:

- დანაშაულის სოციოლოგიური კვლევის შედეგების პრეზენტაცია;
- კონფერენცია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის თემაზე;
- იაპ დე ვაარდის ვიზიტი, შეხვედრების ციკლი, თსუ;
- კონფერენცია - დანაშაულის სოციოლოგიური კვლევის შედეგების პრეზენტაცია;
- კონფერენცია - კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პანელის შეხვედრა;
- შეხვედრები ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულებისა და განახლების მიზნით;
- სამუშაო შეხვედრები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში
- პრეზენტაცია, მოლდოვას დელეგაციის ვიზიტი;
- შეხვედრა ნარკო-პოლიტიკის თემაზე არასამთავრობო ორგანიზაციასთან „მსოფლიოს ექიმები'' შეხვედრა;
- ლექცია „კორუფციასთან ბრძოლა საქართველოში'', თსუ;
- შეხვედრები პროექტი „არჩევანი შენზეა“ ფარგლებში;
- არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია;
- შეხვედრები სისხლის სამართლი სტატისტიკის თემაზე;
- შეხვედრები არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ფარგლებში
- იუსტიციის სამინისტროს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, პრეზენტაცია
- სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა (შეხვედრა სტუდენტებთან)
- ტრენინგი განრიდების თემაზე პროკურორებთან (ტრენინგების ციკლი)
- შეხვედრა უცხოელ ექსპერტთან სამინისტროს სტრატეგიული გეგმის შემუშავების საკითხზე
- „Open Government Partnership'' შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან
- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დღე, პრეზენტაცია, სტატიების კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოება;
- ვოგლერის საჯარო ლექცია თავისუფალ უნივერსიტეტში;
- იან ვან დაიკის პრეზენტაცია თავისუფალ უნივერსიტეტში;

VI. სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელობა

ანალიტიკური დეპარტამენტი ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებს, კერძოდ: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამუშაო ჯგუფი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფი, სისხლის სამართლის სტატისტიკის სამუშაო ჯგუფი, პენიტენციალური რეფორმის სამუშაო ჯგუფი და სხვ. 2011 წელს გადაისინჯა და განახლდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სტრატეგიები, შემუშავდა დეტალური მონიტორინგის ინსტრუმენტები. აგრეთვე მომზადდა სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები.

VII. საერთაშორისო წარმომადგენლობა და ვიზიტები

- საფრანგეთი, ქ. სტრასბურგი, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მეოთხე შეფასების რაუნდის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შეხვედრა;
- იტალია, ქ. რომი, სასწავლო ვიზიტი (იტალიის პოლიციის საერთაშორისო თანამშრომლობის სამსახურის მოწვევით და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაფინანსებით);
- გუდაური, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთათვის ტრენინგი სისხლის სამართლის საკითხებზე (მიწვეული როგორც ექსპერტი);
- ამერიკის შეერთებული შტატები, ოჰაიოს შტატი, სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის თემა;
- საფრანგეთი, ქ. სტრასბურგი, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) 51-ე პლენარული სხდომა;
- ქ. ბათუმი, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა შეხვედრა ჟურნალისტებთან, მათთვის იუსტიციის სამინისტროს რეფორმების გაცნობის მიზნით;
- ქ. სიღნაღი, სამუშაო შეხვედრა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ინტეგრირებული სისტემის ანალიტიკური მოდულის შემუშავების მიზნით;
- ქ. ბათუმი, პროკურატურის საქმიანობასთან მიმართებით საზოგადოების ცნობიერების ამღლების მიზნით გამართული შეხვედრა;
- ჰოლანდია, ქ. ჰააგა, სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის პროექტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრა ჰოლანდიელ ექსპერტებთან;
- მოლდოვა, ქ. კიშინიოვი, შეხვედრები მოლდოვას რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- თურქეთი, ქ. სტამბული, კონფერენცია კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;
- ქ. ბათუმი, განრიდებისა და მიდიაციის კვარტალური შეხვედრა;
- ქ. ბათუმი, იუსტიციის სახლის გახსნის ცერემონია;
- ესტონეთი, ქ. ტალინი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში პროექტის „თანამშრომლობა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ'' გახსნითი კონფერენცია და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა;

- ქ. ბათუმი, იუსტიციის სახლის ელჩების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები და ქართული ID ბარათის პრეზენტაცია.
- ქ. ბათუმი, „Ambassadors of Justice House" პროექტთან დაკავშირებით სასწავლო ვიზიტი;
- საფრანგეთი, ქ. სტრასბურგი, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) 52-ე პლენარული სხდომა;
- საფრანგეთი, ქ. სტრასბურგი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის 27-ე პლენარულ სხდომა;
- საფრანგეთი, ქ. სტრასბურგი, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) 53-ე პლენარულ სხდომა;
- ქ. ბათუმი, ტრეინინგი სისხლის სამართლის საკითხებზე;
- საფრანგეთი, ქ. სტრასბურგი, სამუშაო შეხვედრა „აღმოსავლეთ პარტნიორობის'' ფარგლებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;
- ყვარელი სამართლებრივი წერის ტრენინგი;
- კაჭრეთი, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის შემუშავება.
- უზბეკეთი, ქ. ტაშკენტი, საეთაშორისო კონფერენცია თემაზე: „გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის იმპლემენტაცია შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში", (ორგანიზატორები: გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო და უზბეკეთის პროკურატურა);
- პოლონეთი, ვარშავა, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის ფარგლებში რეგიონალური სამუშაო შეხვედრა თემაზე: ანიტკორუფციული პოლიტიკის იმპლემენტაცია და მონიტორინგი".
- თურქეთი, ანკარა, NATO-ს მიერ ორგანიზებული ანტიკორუფციულ ღონისძიებებთან დაკავშირებული ტრეინინგი;

VIII. სხვა აქტივობები

1. შემუშავდა ანალიტიკური დეპარტამენტის საქმიანობის ხელშემწყობი პროექტი ევროკავშირის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში;

2. ანალიტიკური დეპარტამენტის მოწვევით დეპარტამენტში ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ჰოლანდიის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი ია ა ვ დე ვაარდი.

3. სისხლის სამართლის საქმეთა მართვის ინტეგრირებული სისტემა ითარგმნა ინგლისურ ენაზე.

4. მომზადდა პროკურორთა სახელმძღვანელო პრინციპები თემაზე - განრიდება საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობებით.

5. საერთაშორისო გამოცდილების მოძიებისა და შიდა კანონმდებლობის შესწავლის შედეგად მომზადდა სამტრედიის სკოლა-პანსიონის შესახებ კანონპროექტის ანალიზი;

6. ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მოამზადა კომენტარები შემდეგ დოკუმენტებზე:
   - საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ანგარიში: ევროპის სამეზობლო პოლიტიკა – საქართველოს ანტიკორუფციული ვალდებულებების შეფასება, 2010;
   - გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის მიერ მომზადებული პროექტი;
   - კიბერუსაფრთხოების სტრატეგია;
   - განრიდების პროგრამის ვებ-გვერდის კონცეფცია.

7. მომზადდა პროგრამის „ჩემი უფროსი მეგობარი“, შეფასების ინსტრუმენტი;

8. ყოველთვიური სიახლეები, სიახლეები საზღვარგარეთ მყოფი კანონიერი ქურდების შესახებ;

9. პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისათვის პროექტის „ჩვენი საზოგადოება“ ფარგლებში.

10. სამინისტროს ახალი ვებ-გვერდის შემუშავებაში მონაწილეობა;

11. სამუშაო აღწერილობებისა და თანამშრომელთა შეფასების დოკუმენტების შემუშავება.

IX. სამომავლო გეგმები

- სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარების შემუშავება;
- საპროკურორო გაიდლაინების ახალი კრებულის შემუშავება;
- სამინისტროს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი;
- არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- სისხლის სამართლის საქმეთა მართვის ელექტრონული პროგრამის ახალი მოდული BI; ადვოკატების ჩართვა პროგრამაში;
- BI მეშვეობით დანაშაულის კვალიფიციური კვლევა და რეკომენდაციები;
- სასამართლოს საპროცესო ფორმების შემუშავება;
- დანაშაულის სოციოლოგიური კვლევა;
- ნარკოტიკული დანაშაულის კვლევა;
- სასჯელაღსრულების სტატისტიკური მოდულის შემუშავება;
- რეციდივის კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- თანამშრომლობა გაეროს ანტიკორუფციული კონვენციის ფარგლებში;
- ელექტრონული ბიბლიოთეკის პროექტის სრულად იმპლემენტაცია;
- აღკვეთის ღონისძიებისა შაბლონებისა და სხვა საპროცესო ფორმების შემუშავება;
- მართლმსაჯულების სისტემის ინდიკატორები და ემპირიულ ანალიზზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკა;
- ინფორმაციის თავისუფლების ვებ-გვერდის შექმნა;
- მნიშვნელოვანი საერთაშორისო რეიტინგების ანალიზი;
- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ამოქმედების ხელშეწყობა;
- დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შემუშავება;
- კორუფციული საქმეების ანალიზი პრევენციის მიზნით;
- შესყიდვების სისტემაში წითელი დროშების სისტემის დანერგვა;
- ჯანდაცვისა და თვითმმართველობის სფეროებში კორუფციული რისკების შეფასება;
- კორუფციის თემაზე სხვადასხვა კონკურსის მოწყობა;
- თემატური ლექციები სტუდენტებისთვის;
- იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის შემუშავება;
- სამართლებრივი სიახლეების სისტემის შეცვლა;
- ბიუროკრატიული საფეხურების გამარტივების ხელშეწყობა – მომხმარებელთა აზრის კვლევა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის იმპლემენტაციის ხელშეწყობა;
- ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი;
- კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფისა (GRECO) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარებისა ორგანიზაციის (OECD) რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი.